ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 6-4

25 იანვარი
"___" _____ 2022 წ.

ქ. თბილისი

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N5-21 დადგენილების ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N5-21 დადგენილების (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 29/12/2021, სარეგისტრაციო კოდი: 330090020.35.101.016932) თანდართული საინფორმაციო მასალის მე-4 და მე-11 პუნქტები.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №

____ 2022 წ. ქ. თბილისი

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N5-21 დადგენილების ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N5-21 დადგენილების (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 29/12/2021, სარეგისტრაციო კოდი: 330090020.35.101.016932) თანდართული საინფორმაციო მასალის მე-4 და მე-11 პუნქტები.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N5-21 დადგენილების ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათი

ა) პროექტის მიღების (გამოცემის) მიზეზი/ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოწონების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 28 დეკემბრის N21.1867.2100 განკარგულებით მოწონებულ იქნა ქალაქ თბილისში, ოქროყანის სპორტულის ბაზის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.15.08.008.022; N01.15.08.008.016, N01.15.08.008.014, N01.15.08.008.020, N01.15.08.008.012, N01.15.08.008.001, N01.15.08.008.011, N01.15.08.008.017, N01.15.08.008.015, N01.15.08.008.004, N01.15.08.008.035, N01.15.08.008.033 და მიმდებარე ტერიტორია) და ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N81.02.94.957) და მიმდებარე ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 28 დეკემბრის N21.1867.2100 განკარგულებით მოწონებული ფუნქციური ზონის ცვლილება დასამტკიცებლად წარედგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N5-21 დადგენილებით, ცვლიელბა შევიდა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილების პირველი მუხლის „ა" პუნქტით დამტკიცებულ დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილსა (დანართი: N1) და პირველი მუხლის „ა" პუნქტის „ა.თ" ქვეპუნქტით დამტკიცებულ თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკაში (დანართი N1.8)

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების 40-ე მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, 2019 წლის 20 მარტამდე დამტკიცებული განაშენიანების

რეგულირების გეგმის მოქმედების ვადაა 5 წელი, რომლის საფუძველზეც დაინტერესებული პირი ვალდებულია შეათანხმოს არქიტექტურული პროექტი არაუგვიანეს 2021 წლის 31 დეკემბრისა. იმ შემთხვევაში, თუ ამ ვადაში არ მოხდა არქიტექტურული პროექტის შეთანხმება, განაშენიანების რეგულირების გეგმა მიიჩნევა ძალადაკარგულად.

ზემოაღნიშნულ ტერიტორიებზე განაშენიანების რეგულირების გეგმები დამტკიცებულია 2010 წლის 21 მაისის N2061 და 2014 წლის 27 მაისის N1248 განკაგულებებით, რომელთა მიღების შემდგომაც არქიტექტურული პროექტი არ შეთანხმებულა.

შესაბამისად, ქალაქ თბილისის მერიის 2014 წლის 27 მაისის N1248 და ქალაქ თბილისის მერის 2010 წლის 21 მაისის N2061 განკარგულებებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმები მიიჩნევა ძალადაკარგულად.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 28 დეკემბრის N21.1867.2100 განკარგულებით მოწონებული და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N5-21 დადგენილებით დამტკიცებული ფუნქციური ზონის ცვლილების საფუძველს წარმოადგენდა 2010 წლის 21 მაისის N2061 და 2014 წლის 27 მაისის N1248 განკაგულებები და აღნიშნული განკარგულებები ძალადაკარგულია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 28 დეკემბრის N21.1867.2100 განკარგულება და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N5-21 დადგენილების თანდართულის საინფორმაციო მასალის მე-4 და მე-11 პუნქტები უნდა გამოცხადდეს ძალადაკარგულად.

ბ) პროექტის მიღებასთან დაკავშირებული საფინანსო- ეკონომიკური გაანგარიშება:

დადგენილების ამოქმედებისთვის საბიუჯეტო სახსრები საჭირო არ არის.

გ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

დ) პროექტის ავტორი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

ე) პროექტის წარმდგენი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.